ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1039 შაბათი, 9 ნოემბერი 1913 წ. № 039

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

4 ნოემბერს, დილის 9 საათზე, გარდაიცვალა ს. არბოში (გორის მაზრა),

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მარი მოსეს ასული, შვილნი: ლევანი და ნესტორი ანტონის ძენი ფურცელაძენი და ქალი მისი ივლიტა ანტონის ასული ქარციგაძისა. ცხედარს გაასვენებენ ს. არბოდან დღეს 9 ნოემბერს, და წირვის გადახდის შემდეგ საგვარეულო სოფელში მერეთში იქნება დაკრძალული. 778

კვირას, 10 გიორგობისთვეს, სოფ. დიდ-გარეჯვარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ილია სპირიდონის ძის განძიელის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი გაიანე როსტომის ასული განძიელისა, შვილები ნატალია და ელენე, სიძეები თავ. გიორგი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი და ალექსანდრე მიხეილის ძე საგინაშვილი, დისწული დავით დავითის ძე პარკაძე, დეიდაშვილი ევა მიხეილის ასული კობახიძისა და ცოლისძმები ალექსანდრე და ლევან როსტომის ძე კობახიძეები. 794

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 19—8.

კვირას, 10 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ გლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: პირველად ქართულ სცენაზედ ახალი ორიგინალური პიესა

ნაგავი

პიესა 4 მოქმედ. ნ. შიუკაშვილისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ასათიანი, დავითაშვილი, თოიძე, მამულაშვილი, მდივანი, პიერეტტა, საღარაძე, კოდალაშვილი, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, თუხარელი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, საფაროვი, ურუშაძე, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

რეჟისორი გლ. ალექსი-მესხიშვილი.

ანონსი: მზადდება წარმოსად.: სინათლე, ვაი ჭკუისაგან, დამარცხებული რომი და სხვა.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ბენეფისი ტ. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება ,,ვაი ჭკუისაგან'', გრიბოედოვისა, თარგ. განდეგილისა.

ადმ. ქარ. დრამ. საზ.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. 1576

ქართული თეატრი

სამშაბათს, 12 ნოემბერს

დავ. კლდიაშვილი

გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო

საღამოს

I

ა. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას „ეროვნული შემოქმედება"

II

დ. კლდიაშვილი (მოთხრობა).
ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები).
ი. გრიშაშვილი (ლექსები).
დ. აკოფაშვილი (სიმღერა).

III

ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: დავ. კლდიაშვილისავე

დარისპანის გასაჭირი

სურათი 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ: ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. შოთაძე და ა. ასათიანი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1521

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

პატივისცემით ძ-ნი პორტუგალოვისა.

1491

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს, ავლაბრის ქართ. სახალ. წარმოდგ. მმართვ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძისა** და **ი. ჟივიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა **აკაკი წერეთლისა**

პატარა კახი, დრამა 5 მოქმედ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი 4 50 კ.

1545. რეჟისორი **ი. ივანიძე,** მორიგი გამგე **თ. კეკელიძე.**

საზამთრო **ახალი კლუბი** თეატრი

შაბათს, 9 ნოემბერს,

საოჯახო საღამო

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი კომედია:

ქალა ალმართსა ხნავს, თხზ. ვ. გუნიასი.

თეატრში შესვლა უფასოა. დაწვრილებით აფიშებში. კლუბში შესასვლელ ფასად სტუმრები იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ. და სტუდენტები 25 კ. დასაწყისი საღამოს 8-ნახევარ საათზე. 1568

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ, შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 9 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მე-20 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ ჭიდაობისა.

პირველი დებიუტი გიმნასტები დები პეტერ ოწისა და ჟონგლიორ ხემიონისა.

დღეს ჭიდაობენ: სეპ კი და სალი სულეიმანი, გადაწყვეტი უვადო ჭიდაობა ჩემპერს ციპსისა და კოპიოვის, წითელი მასკა და ჟან ბაბატიე, იგ კან და ტომ საიერი.

793 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 10 ს., თელავში

წერა-კითხვის სკოლაში დანიშნულია

ქ. შ. წ.-კ. გამ. ს. თელავის განყოფილების

წევრთა წლიური კრება

განსახილველი საგნები: 1) 1912 წლის ანგარიში, 2) 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა, 3) ილია ჭავჭავაძის მამულის შესახებ ს. ყვარელში, 4) რაფაელ ერისთავის ათი წლის გარდაცვალების დღის აღნიშვნა, 5 გამგეობის ერთი წევრის არჩევა. 1584

მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული

ჟურნალი



წლიურად 3 მან. ფასი 5 კაპ.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქიზიყის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს. ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	მარკევიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფიდოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	ჯავახიშვილი ნ. ნ. ორშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრესმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

სანაპიროზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკოვი. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

გ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1462

ექიმი მღვდელი **ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევა, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—17. 779

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღის ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ვ. მ. ლოლობერიძე

ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი მ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა **ნინო რჩხილაძე**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ტფილისი, 9 ნოემბერი

ორი მინისტრი. ჩვენი სახელმწიფო მინისტრების საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი უცხოეთში მოგზაურობს და, როგორც ეს სჩვევიათ რუსეთის მაღალს მოხელეებს, კოკოვცევი საპარადოდ ებაასება ევროპიული პრესის წარმომადგენლებს და ფართოდ აცნობს მათ თავის სახელმწიფოებრივს გეგმას. ამ გეგმაში, რასაკვირველია, ყველაფერი მორთულ-მოკაზმულია, ისე, როგორც შეჰფერის განათლებულს საკონსტიტუციო სახელმწიფოს. პრემიერის სიტყვით, რუსეთში საქმეები ისე მიმდინარეობს, როგორც ყოველ მოწინავე ევროპიულ ქვეყანაში, მაგრამ დასძენს ბოლოს: რუსეთი დიდი, უზარმაზარი სახელმწიფოა და მისი მართვა-გამგებლობა ადვილი არაა; რუსეთი მთლად მომზადებული არაა პოლიტიკურ კანონმდებლობისათვის, მას უფრო ესაჭიროება კარგი ადმინისტრაციაო.

ბ. კოკოვცევმა, შეიძლება უნებურად, მაგრამ ნათლად კი გამოაშკარავა რუსეთის დღევანდელი წესწყობილების ნამდვილი სახე. ამ წესწყობილების დამახასიათებელი თვისება სწორედ ისაა, რომ იგი თითქოს პრინციპიალურად, სიტყვით ყოველს კანონიერებას და სამართლიანობას აღიარებს, თავისუფლების და მოქალაქის ღირსებას პატივსა სცემს, ხოლო როგორც კი საქმე სინამდვილეზე მიდგება, სულ სხვა გეგმას ანხორციელებს: სახელმწიფო სათათბიროში თუ უცხოეთში სამართლიან წესწყობილების დამცველად გამოდის, მაგრამ ცხოვრებაში იმასვე აკეთებს, იმავე გზით დადის და იმავე იარაღით მოქმედებს, როგორც ეს ხდებოდა ნეტარხსენებულის პლევეს და რევოლუციის სხვა წინანდელი მინისტრების დროს.

მინისტრების საბჭოს თავმჯდომარემ ბერლინში განუცხადა რუსულ გაზეთების წარმომადგენლებს: კრიტიკა გაგვიწიეთ, ხოლო კრიტიკის დროს იყავით სამართლიანნი და მიუდგომელნი, აღნიშნეთ მარტო ნამდვილი ფაქტებიო. ბ. თავმჯდომარეს ცუდად წარმოუდგენია პრესის დანიშნულება: ფაქტი თავისთავად არაფერს მეტყველობს, საქმე მისი გაშუქებაა, და ჟურნალ-გაზეთების მოვალეობა სწორედ ესაა, რომ მარტო ამბები კი არ მოგვითხრონ, არამედ მათი აზრი და მნიშვნელობა განმარტონ, გაარკვიონ. მერე როგორ უნდა გვესმოდეს სიტყვები „იყავით მიუდგომელნიო"? ეს ხომ იმას ნიშნავს, მთავრობას ნუ წინააღუდგებით, მის მოღვაწეობას ნუ გაჰკიცხავთ, ნუ დაიწუნებთ, და მაშინ საღდაა თავისუფლება, ურომლისოდ წარმოუდგენელია პრესის არსებობა.

მთავრობის გულისნადები უფრო პირდაპირ გამოაცხადა მისმა მეორე წევრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა, რომელმაც ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტის განხილვის დროს სთქვა მინისტრების სა-

ბჭოში: პრესა უძლიერესი იარაღია ადამიანის გონების გასავითარებლად და მას თავისუფლება უნდა მიენიჭოს; მაგრამ დღეს გაზეთები სულ ებრაელების ხელშია, პრესა სახელმწიფოს (იგულისხმიერე: ეხლანდელს მთავრობას) ებრძვის, მუშათა გაზეთეში აშკარად სოციალისტურს აზრებს ჰქადაგებენ, ამიტომ მთავრობამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა ბეჭდვითი სიტყვას და შეჰქმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გაუმკლავდება პრესის ბოროტ-მოქმედებას და ამით დაიცავს სახელმწიფოს ინტერესებსო.

რომ სიტყვის და წერის დღევანდელი მდგომარეობა ყოვლად აუტანელია და ხშირად უარესია, ვიდრე იყო „თავისუფლებათა" გამოცხადებამდე, ეს დღესავით ნათელია. მაგრამ მთავრობას ესეც მეტად მიაჩნია და მისი წარმომადგენელნი ერთი რბილად, მეორე მკაცრად და გარკვევით მოითხოვს, რომ საჭიროა მეტი შეზღუდვა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისაო. ასე იყო, ასე იქნებაო,—ამ გზას არ ღალატობს მთავრობა და ნაცვლად განახლებისა განვლილი ცხოვრების აღსადგენად მიიწევენ სახელმწიფოს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მუდამ გვესმის ყიჟინი, „რუსეთმა ამიერ კავკასიაში კულტურა შეიტანა, ეს გაუნათლებელი, უკულტურო მხარე გაანათლა და ევროპას დაუახლოვაო. მუდმივმა დაყვედრებამ თავი მოგვაბეზრა. სიმართლის ხმა კი იშვიათად გვესმის. რუსეთმა თითქმის გაანადგურა ადგილობრივ ერების უძველესი კულტურა, რომელიც ვითარდებოდა ათას წლობით... თუ რა გააკეთა რუსეთმა ამ მხარეში, ამას დავინახავთ ქვემოდ მოყვანილ ბ. შუისკის წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „დენის" № 297-ში. ეს წერილი გამოწვეულია ს.-პეტერბურგში გახსნილ შავი ზღვის მხრის გამოფენით.

„შაბლონია იმის თქმა: რუსეთში არის დალოცვილი ადგილები, ძვირფასი დასასვენებლად და დამსვენებლის დასატკბობლად; შაბლონიური იქნება წუხილი იმის შესახებ, რომ ეს ადგილები კულტურულ ცხოვრებისათვის არ არის მოწყობილი, უხეიროდ არის დაგდებული ან და წესიერად არ არის დამუშავებული. ჩვენი შავი ზღვის მხარე ასეთია სწორედ.

ოდესღაც შავი ზღვის მხარე მართლაც დალოცვილ ადგილებს წარმოადგენდა. შავი ზღვის პირას მცხოვრებნი—აფხაზები და ჩერქეზები—მისდევდნენ ნამდვილ მაღალ კულტურულ მეურნეობას. შავი ზღვის ნაპირებზე სამაგალითო ხეხილის ბაღები იყო გაშენებული. მცირე აზიასა და შავი ზღვის კავკასიის კიდეებზე მდებარე ადგილებ შორის დიდებული სააღებ-მიცემო ვაჭრობა სწარმოებდა. ერთი სიტყვით, ეს მხარე ჰყვაოდა, მდიდრული ბუნება შესაფერად აჯილდოვებდა ადამიანის ჯაფას.

მაგრამ მოვიდნენ რუსები. ისინი მკაცრად მოეპყრნენ „ბარბაროსებსა და ყაჩაღ" ჩერქეზებს და აიძულეს ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. მათ აგრეთვე შეისყიდეს აფხაზების მამულები და ადგილობრივი მკვიდრნი იქიდან გარეკეს.

დაცარიელებული მიწები ერთის მხრით რუსის მოხელეებმა დაინაწილეს და სხვა შეძლებულმა ხალხმა. ჩერქეზების მამულების ნაწილში მალოროსიიდან გადმოხვეწილები ჩაასახლეს; უნდა გეფიქრათ, რომ ეს უკანასკნელნი უფრო განვითარებულნი და და კულტუროსანნი იყვნენ, ვიდრე ჩერქეზები.

მაგრამ მხარე სრულებით განადგურდა. ერთი მეორეზე გაცამტვერდა საუცხოვო ბაღები. ახლად მოსულნი არამც თუ ხელს არ უწყობდნენ მათ აჰყვავებას. გაუგებარი ბარბაროსობით სპობდნენ ისინი ძირიანად: სჩეხდნენ შეშისათვის, სჭრიდნენ ხეებს იმისათვის, რომ დაეკრიფათ მწიფე ხილი...

ძველი კულტურა გაჰქრა, ახალი კულტურა, როგორც შემთხვევითი ხასიათის, კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ. ამ მხარეში საექსპორტო ვაჭრობა სრულებით გაჰქრა.

„ველურ" ჩერქეზებისა და „განათლებულ" რუსების კულტურის შესადარებლად დასახასიათებელია ის გარემოება, თუ როგორ ეპყრობოდნენ პირველნი და მეორენი ძველებურ ნაშთებს. შავი ზღვის ნაპირებზე მრავლად მოიპოვება, ან სწორედ რომ ვსთქვათ, მოიპოვებოდა, ორიგინალი ციკლოპიური შენობები უცნობი ერისა. ეს შენობები შესდგებოდა ოთხ კუთხიან „ქვის ფიცრებისაგან", მეხუთე სახურავად ჰქონდათ, გარს ქვის გალავანი ევლებოდათ. ჩერქეზები ძლიერ ფრთხილად ეპყრობოდნენ ამ ისტორიის წინა დროების ნაშთებს. არ ანგრევდნენ ამ შენობებს, ქვებს თავიანთ საჭიროებისთვის არ იყენებდნენ და საამშენებლო მასალა შორიდან მოჰქონდათ.

ჩერქეზების მოადგილენი მტაცებლები გამოდგნენ. იმათ ძველ ისტორიულს ნაშთებს უფასო საამშენებლო მასალის თვალსაზრისით შეხედეს. დაანგრიეს შენობები, დაიტაცეს ქვების ფიცრები, დაამტვრიეს ნაწილ-ნაწილად და მასალისაგან შეუდგნენ სახლების შენებას. ბარბაროსები აღმოჩნდნენ არა მარტო სამხრეთელი „ხახოლები" არამედ გზატკეცილების გამყვანი ინჟენრები, რომელთაც საკმაოდ ბევრი ძველი ისტორიული ნაშთი გაანადგურეს.

მხოლოდ ბოლო ხანებში გადარჩენილი ნაშთები არქეოლოგიურმა კომისიამ ჩაიბარა. კომისია დაემუქრა, რომ დააჯარიმებს ყველას, ვინც ამ ნაშთებს ხელს შეახებდა. მუქარამ კარგად იმოქმედა ამ ბარბაროსებზე. როდესაც ეს მხარე საკმარისად განადგურებული იყო, ხაზინამ მოისურვა იქითკენ ინტელიგენტურ ძალების მიზიდვა. იაფ ფასებში მიჰყიდეს მიწები, იჯარით გასცეს და სხვა პეტერბურგელმა ფულიანებმა საჩქაროდ შეიძინეს მიწები. დარწმუნებული იყვნენ, აქ მიწის ფასი მალე აიწევდა და დიდ მოგებას მოელოდნენ ამ საქმისაგან. მდიდრებს მუშებიც მოჰყვნენ. ამ უკანასკნელთ უნდა შეესრულებინათ კულტურ-ტრეგერების როლი იმ ოდესღაც აღყვავებულ ქვეყანაში, რომელიც დღეს გაპარტახებულიღა იყო".

შემდეგ ბ-ნი შუისკი „აღწერს" იმ კურორტებს, რომელიც „ოაზისებს" წარმოადგენენ „კულტურულ" ხალხისაგან გაუდაბნოებულ საუცხოვო მხარეში. დასასრულ ავტორი ლაპარაკობს გამოფენის მნიშვნელობაზე.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის მეფის მოადგილეს** ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, **ექიმის ი. ჟორდანიის მეთაურობით სოფ. ნაოლალევის მცხოვრებთა დეპუტაცია წარუდგა.** დეპუტაცია შუამდგომლობდა, რომ ს. ნაოლალევიდან სამომრიგებლო ნაწილის ბანძაში გადატანის საკითხი მათ სასარგებლოდ გადასწყვიტონ. ამ შუამდგომლობას ნაოლალეველები იმით ასაბუთებენ, რომ ნაოლალევი ახლო-მახლობელ სოფლების შუაგულია და მეორე მხრით სამი ვერსის იქით უკვე სენაკის სამომრიგებლო ნაწილი იწყება. მეფის მოადგილე თანაგრძნობით მიეგება ნაოლალეველების შუამდგომლობას და შესაფერი დახმარება აღუთქვა.

✦ **განსვენებულ მოღვაწის ანტონ ფურცელაძის დაკრძალვა** მოხდება დღეს, 9 ნოემბერს. ცხედარს დილის 9 საათზე სოფელ არბოდან გაასვენებენ სოფ. მერეთს, სადაც წირვის გადახდის შემდეგ მიწას მიაბარებენ.

— გუშინ ქ. შ. წ.-კითხ. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ განსვენებულ ა. ფურცელაძის ოჯახს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

✦ **სტიპენდიები.** ქალაქის თვითმმართველობამ ქალთა უმაღლეს კურსებზე ორი სტიპენდია დააარსა. სტიპენდიის დებულება უკვე შეიმუშავა ქალაქის სასკოლო კომისიამ და საბჭომ დაამტკიცა. დებულება ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს გაუგზავნა, რომელმაც იგი დასამტკიცებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გაუგზავნა.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის თათბირის** დასრულების შემდეგ თურქესტანისა და ამიერ-კავკასიის წარმომადგენლებმა ვეტცელის სასტუმროში ვახშამზე მიიწვიეს (7 ნოემბერს): თათბირის თავმჯდომარე ვ. ნ. მარტინოვი, მიწადმოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ა. ი. კნიზე, მიწად-მოქმედების სამმართველოს კავკასიის რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი, მიწადმოქმედების დეპარტამენტის მესამე განყოფილების უფროსი ა. ს. რომანოვსკი-რომანკო და პეტერბურგიდან ჩამოსული სპეციალისტი ფილოქსერის გამოკვლევის საქმეში მიშლავსკი და მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი კორვინ-პავლოვსკი (ვახშამს დროს უქონლობის გამო შაშკოვსკი და რომანოვსკი-რომანკო ვერ დაესწრნენ). თამადად აირჩიეს ვ. ი. რცხილაძე, რომლის სადღეგრძელოებშიც მუდამ მოსდევდა მსჯელობა-საუბარი საზოგადო საკითხებზე. მიწვეულმა პირებმა განაცხადეს, რომ ისინი დიდად ხელს შეუწყობენ იმ დადგენილებათა ასრულებას, რომელიც თათბირმა გამოიტანა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის" ოქტომბრის ნომერი მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის შემდეგის შინაარსით. მოზრდილთათვის: წყაროს სიმღერა, ი. სიხარულიძისა. ორ-კლასიანი, (დასასრული) მოთხრობა გიოსი. ობოლი ისა და პატარა ნუნუ, პოემა (დასასრული) ი. მჭედლიშვილისა. რა ნახა პატარა ბიჭმა, როცა უძრავად იჯდა, მოთხრობა რობერტსისა, (თარგმანი) მაგიტასი. უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი, მოთხრობა ე. დ'ერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მარიამ იაშვილისა. კეთილი მამა, ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილის 30 წლის იუბილეის გამო, აპ. წულაძისა. ტროადის ომი, (გაგრძელება) ალ. მიქაბერიძისა. მცირე-წლოვანთათვის დიდედა და ვანო, (ლექსი) შ. მღვიმელისა. ჯამბაზი, (დასასრული) ვ. თამროშვილისა. სოფლიდან ქალაქამდის, მ გარიყულისა. „მაისის კავშირის" წევრის მოვალეობა. მკითხველის წერილები. გასართობი: შარადა, რებუსი და ახსნა.

✦ **ბრინჯის მოყვანა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურო თავის კორესპონდენტებს შეეკითხა, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ბრინჯის მოყვანის საქმეო.

✦ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის საგანგებო კომისია ქალაქის ქიმიკოსის გ. გ. ალიბეგოვისა და ბაქტერიოლოგ ი. ა. მუხარინსკის მონაწილეობით ამ დღეებში ბალაჩაურს მიემგზავრება იქაურ წყაროების გამოსაკვლევად.

✦ რედაქციამ მიიღო **პეტრე მირიანაშვილის** მიერ შეკრებილი დაწყობილი თხზულებანი: **„ამირანის ლექსი".** წიგნს დართული აქვს 30 სურათი. სურათები ეკუთვნის სრულიად ახალ გაზდა მხატვარს **შალვა ქიქოძეს.** სურათებიც და წიგნიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ახალგაზრდა მხატვარის უტყუარი ნიჭი მხილდება ამ ნახატებში.

✦ **ერობა კავკასიაში,** მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირმა კრებების დროს ორჯელ აღიარა საჭიროება კავკასიაში ერობის ჩქარა შემოღებისა: 6 ნოემბერს, როდესაც ლაპარაკი იყო სამელიორაციო თანხის მოხმარების შესახებ მევენახეობისა და მეღვინეობის გასაუმჯობესებლად, თათბირმა საჭიროდ სცნო, კავკასიაში საერობო დაწესებულებათა უქონლობის გამო სამელიორაციო თანხიდან საკრედიტო ამხანაგობებს მიეცეს სესხი ძირითად თანხის გასაძლიერებლად. ამასთანავე აღიარა, რომ საკრედიტო ამხანაგობებს შეუძლიან მხოლოდ მცირე დახმარების აღმოჩენა მეურნეობისთვის, რადგან სრული, ნამდვილი სამსახურის გაწევა მეურნეობისათვის და კერძოდ მევენახეობა-მეღვინეობისთვის შეუძლიან მხოლოდ საერობო დაწესებულებებსაო. ამ დროს ვ. ი. რცხილაძემ წინადადება მისცა თათბირს: გამოეთქვა სურვილი, რათა ხსენებული და კიდევ სხვა მრავალ საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ შემოღება ერობისა. წინადადება თათბირმა ერთხმად მიიღო. 7 ნოემბერს თათბირს განსახილველი ჰქონდა მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის შესახებ გამოცემულ კანონის შეცვლის საჭიროების საკითხი. აქაც თათბირმა აღიარა, რომ ერობის უქონლობის გამო კავკასიაში შექმნილია განსაკუთრებული პირობები, რომელიც მეურნეობას ხელს უშლის და სწორედ ამ ხელოვნურად შექმნილ პირობების მიხედვით არის შედგენილი კანონიო. ამის გამო თათბირმა კვლავ დაადასტურა კავკასიაში ერობის ჩქარა შემოღების საჭიროება.

✦ **ვერის საცალფეხო ხიდის** გაკეთების განზრახვის გამო სამხედრო სასწავლებლის უფროსმა ქალაქის გამგეობას მოსწერა, მართალი არის თუ არა გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომ ხიდის გაკეთება სხვა დროისთვის გადაიდო. ამ ხიდის ჩქარა გაკეთებაში სამხედრო სასწავლებელი დიდად დაინტერესებული ყოფილა, რადგანაც იუნკრებს ყოველდღე უხდებათ ვერასა და საბურთალოზე ჯგუფ-ჯგუფად სავარჯიშოდ სიარული. ისინი ახლა მტკვარზე ბორნით გადიან, რაც ხარჯს ითხოვს და საკმაო დროსაც.

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე** დელეგატებს ჰგზავნიან შემდეგი ქალაქები: შუშა, ყარსი, ნახიჩევანი, გორი, ახალციხე, პეტროვსკი, დუშეთი, ყიზლიარი, ხონი, ოზურგეთი, სიღნაღი, ნუხა, თელავი, გროზნა, ყუბა და სხვა.

— კრებაზე ტფ. თავად-აზნაურობის წარმომადგენლად იქნება გ. ი. თულაშვილი.

— „ტფ. კრუჟოკ"-ის მამასახლისთა საბჭომ ნება დართო კრების მონაწილეთ, 16-დან 21 ნოემბრამდე „კრუჟოკ"-ში უფასოდ იარონ.

— კრებაზე „ნოვოე ვრემია"-ს წარმომადგენლად იქნება გ. ა. პალმი, „რუსკოე სლოვოს"—ფ. პ. ლებედევი და „რუსსკია ვედომოსტი"-სა, „ბირჟევია ვედომოსტისა" და „რეჩისა"—პ. ა. პოლიუსუკი.

✦ **დიდი მთავრის ქუჩის მოკირწყვლა** ამ ჟამად ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. მუშები ღამითაც მუშაობენ ელექტრონის სინათლეზე.

✦ **წმ. გიორგობა.** ხვალ, 10 ნოემბერს, თვის დღესასწაულსა უქმობენ წმ. გიორგის ეკლესიები: ქართველ მეფეთა კარისად ნამყოფი (არქიელის მოედანზე), ქვაშუეთისა და საბურთალოსი. დღეს საღამოს მლოცველნი არიან: მეფეთა კარისად ნამყოფ ეკლესიაში: არქიმანდრიტი ნაზარი, იგალობებს ივერიის ქართველ მგალობელთა გუნდი; ქვაშუეთში: არქიმანდრიტი პიროსი, იგალობებს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი და საბურთალოზე: ადგილობრივი საეკლესიო კრებული.

✦ **ჩვენი მკითხველების ყურადღებას** მივაქცევთ ოზურგეთის მაზრის, სოფ. ბერეჟოულის მცხოვრების **ნატალია ჩხეიძის უმწეო** მდგომარეობას. იგი სამი შვილის პატრონია და მრეცხაობით ძლივს შოულობს დღეში 50 კაპ. არავითარი სხვა სახსარი ცხოვრებისა არ მოეპოვება, შემოწირულებათა გაგზავნა შეიძლება მის ბინაზე: ბაიაზეთის ქუჩა, სახლი სულაძისა, **№ 3.**

საზოგადოებანი და კრებები

✦ **„ქალაქის კავშირის"** საზოგადოების საბჭოს კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრება განიხილავს საბავშო თავშესაფარისთვის საკუთარ შენობის შეძენის საკითხს.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება, რომელიც 7 ნოემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **ტფ. საგუბერნიო საგრონომიო თათბირის** მცირე საგრონომიო კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული. კომისია განიხილავს ქართულ-სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობას. საზოგადოება შუამდგომლობს, მიეცეს მას საერობო თანხიდან 65,550 მან.

✦ **მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრება მოისმენს მ. ჯანაშვილის მოხსენებას.

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება, რომელიც 7 ნოემბრისთვის იყო დანიშნული, მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის განსახილველად, არ შესდგა, რადგანაც საბჭოს წევრნი ამ საღამოს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენელთა კრებაზე იყვნენ.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორს გაემგზავრა საქმეების გასარჩევად. იქ დაჰყოფს 13 ნოემბრამდე.

✦ **შუა აზიის რკინის გზაზე ნახევარ მილიონ მანეთის გატაცების საქმის** გამო სასამართლომ, სხვათა შორის, კატორღა მიუსაჯა ბრალდებულს კონსტანტინე გრიგოლიას. ახლა ერთმა ბრალდებულთაგანმა ნიკოლოზ ივანოვმა, რომელსაც აგრეთვე კატორღა აქვს გადაწყვეტილი ამ საქმის გამო, განაცხადა, გრიგოლია დამნაშავე არ არის და მას ხელი ტყუილად დავადეო. ამის გამო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს დაევალა, გრიგოლიას შესახებ საქმე ხელმეორედ გამოიძიოს.

ბათომი

✦ **ყაჩაღ ლაბაძის მოკვლა.** 5 ოქტომბერს პოლიციამ შენიშნა ანანოვის ერთი გამტაცებელთაგანი, რომლის დაჭერაც მოინდომა. უცნობმა სროლა აუტეხა პოლიციელთ და ორი დასჭრა, ერთი სასიკვდილოდ. პოლიციელთაც უპასუხეს და დასჭრეს იგი სასიკვდილოდ და შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ცნობილი ყაჩაღი ლაბაძე, რომელსაც ზედ აღმოაჩნდა 5,800 მან. და მაუზერის 60 პატრონა.

ფოთი

✦ 23 ნოემბერს ადგილობრივ გიმნაზიის მშობელთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გაიმართება „საღამო", სხვათა შორის, საღამოში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან: ივ. სარაჯიშვილი და ი. გრიშაშვილი.

ახალციხე

✦ **საქალაქო არჩევნები.** 27 ოქტომბერს ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები მოხდა. აირჩიეს: 1) გ. ი. ბუნდუგოვი, 2) გ. ნ. მოისეევი, 3) ს. პ. ვირაპოვი, 4) ა. ბ. გაზაროსიანი, 5) მ. გ. კუპალოვი, 6) ლ. ა. აბილოვი, 7) მ. ი. ინჯიკოვი, 8) ა. გ. მურადოვი, 9) ს. ა. ერემოვი, 10) ა. მ. ანჯილოვი, 11) ს. ნ. აზნაუროვი, 12) ტ. ქ. განალანოვი, 13) ქ. მ. მარუქოვი, 14) ქ. მ. ანისონოვი და 15) ქ. ბ. ბალდასაროვი (იგივე სარქისიანი). 10 ნოემბერს დამატებითი არჩევნები მოხდა. აირჩევენ რწმუნებულთა კანდიდატებს.

ანტონ ფურცელაძის დასაფლავების გამო

დღეს სოფ. მერეთში მიწას მიაბარებენ განსვენებულის ანტონ ფურცელაძის გვამს. ვინც რა შეხედულებისა უნდა იყოს მისი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარეების შესახებ, არ შეიძლება უარჰყოს, რომ განსვენებულს ჩვენი საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ორმოცდაათ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ანტონ ფურცელაძე გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე და ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად და შეუწყვეტლივ მუშაობდა. მწერლობაში ჯერ ისევ კერესელიძის დროს დაიწყო მუშაობა. ერთს დროს თვიური ჟურნალის „მნათობის" ერთ უმთავრეს თანამშრომლად და სულის ჩამდგმელად ითვლებოდა. შემდეგ მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. გარდა პუბლიცისტურ წერილებისა, მას დაწერილი აქვს რამდენიმე დრამა და მოთხრობა. მისი საისტორიო გამოკვლევა გიორგი სააკაძის შესახებ კარგად ცნობილია ჩვენ საზოგადოებაში.

განსვენებული თითქმის 25 წელიწადზე მეტი მოღვაწეობდა ტფ. სათ.-აზნ. სადგილ-მამულო ბანკში და აგრეთვე მხნე მონაწილეობას იღებდა სხვა ქართულ საზოგადო დაწესებულებებში. **გ.**

ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები მიიღო.

მოსკოვიდან: „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე, გაიგო რა უეცარივი დაკარგვა პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ა. ფურცელაძისა, ინაწილებს მშობლიურ ერის მწუხარებას". **გამგეობა.**

ოდესიდან: „ქართველი სტუდენტობა ჰგლოვობს პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის დაკარგვას".

ბაქო. „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილება ულრმეს მწუხარებას განიცდის პატივცემულ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო. გამგეობა".

ქუთაისი. „დაუნდობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა კიდევ ერთი საუკეთესო შვილი ქართველი ერისა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე. ვგლოვობთ და ვუერთდებით საერთო მწუხარებას. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეები".

ხონი. „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილება ჰგლოვობს ქართველ საზოგადოებასთან ერთად სამოციან წლების ბრწყინვალე გუნდის თვალსაჩინო მუშაკს და მწერალს ანტონ ფურცელაძის დაკარგვას".

ქუთაისი. „გაზეთ „ერის" რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს მესამოცე წლების მოღვაწის ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო. სამძიმარს უთვლის ჭირისუფალთ."

მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტთა წარმომადგენლების კრება

ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება, რომელიც 5 ნოემბერს დაიწყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, კვლავ გრძელდება. კრებები ჰხდება დილითა და საღამოობით.

პირველ დღეს კრებამ საჭიროდ აღიარა მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის შტატის შენახვასა და მუშაობაში ნივთიერი მონაწილეობა როგორც ხაზინისა, ისე ადგილობრივ თანხისა. ამავე დღეს ხანგრძლივ კამათი საგნად გახდა შემდეგი საკითხი: ამერიკულ ვაზის კავკასიის სანერგეების სამეცნიერო-საცდელ მოქმედების შეთანხმება. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ს. ნ. ტიმოფეევის წინადადება, რომლითაც სასურველად აღიარებულ იქნა, რათა სამეცნიერო-საცდელი საქმე გამოიყოს პრაქტიკულ მოქმედებიდან; პრაქტიკული მოქმედება უნდა გადაეცეს საერობო საგრონომიო ორგანიზაციას, ხოლო სამეცნიერო-საცდელი საქმე ამერიკულ ვაზის სანერგეებს უნდა დაეკისროს. ამის შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეებს მიაწოდონ ფილოქსერის მხრივ უშიშარი მასალა ამერიკულ ვაზების სანერგეთა მოწყობითა და უცხოეთიდან საჭირო მასალის გამოწერით. კრებამ საჭიროდ აღიარა კომიტეტებმა ფილოქსერით დაავადებულ ადგილებში ნიმუშთა და მწვანე ვაზის სანერგეები მოაწყონ, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ფილოქსერა ჯერ არ გაჩენილა,—საცდელი სანერგეები. ამასთანავე კრებამ საჭიროდ აღიარა, ნივთიერი დახმარება აღმოეჩინოთ იმ საზოგადო ორგანიზაციებსა და კერძო მეურნეთ, რომელნიც სანერგეების გაშენებას მოისურვებენ.

მეორე დღეს, 6 ნოემბერს, კრება დილის 10 საათზე დაიწყო ვ. ნ. მარტინოვის თავმჯდომარეობით. კრება შეუდგა შემდეგის საკითხის განხილვას: კონტროლი ვაზისა და ხილის სანერგებისა და ფილოქსერით დაავადებულ ადგილებიდან ცოცხალ მცენარების გატანის საქმისა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ საჭიროდ აღიარა მთავრობის მიერ კონტროლი სანერგეებისა წელიწადში ერთხელ მაინც; კონტროლი უნდა გასწიონ კომიტეტების აგენტებმა. აგრეთვე საჭიროდ აღიარა ფილოქსერით დაავადებულ ადგილებიდან მცენარეების გამოტანისთვის თვალყურის დევნება, რისთვისაც აუცილებლად სცნო შესაფერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა. ამის შემდეგ კრება იღებს ვ. ი. რცხილაძის წინადადებას: დაარსდეს ბათომში სადეზინფექციო სადგური ვაზისთვის და სხვა მასალისთვის. საჭიროდ სცნობს აგრეთვე კურსების მოწყობას დეზინფექციის მცოდნე პირთა მოსამზადებლად.

კრება ნაშუადღევს 3 საათზე შესწყდა. განახლდა საღამოს 8 საათზე. კრებამ, სხვათა შორის, განიხილა საკითხი: დაარსდეს კავკასიის ერთერთს ქალაქში ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო საწყობი, რომელნიც სოფლის მეურნეებს და მეურნეობის მიმდევარ დაწესებულებს ხელს შეუწყობს თესლეულისა, მასალისა და სხვა და სხვა მანქანა-იარაღის მიწოდებით; საწყობის განყოფილებანი სხვა რაიონებში უნდა დაარსდეს. კრებამ ცენტრალურ საწყობის დაარსება ტფილისში სცნო საჭიროდ. აღიძრა საკითხი: დაარსდეს ეს საწყობი ტფ. საგუბერნიო საგრონომიო თათბირთან. კრებამ მიიღო ვ. ი. რცხილაძის წინადადება: დაარსდეს ცენტრალური საწყობი კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან. ამავე საღამოს კრებამ აღიარა, რომ ფილოქსერის გამოკვლევა როგორც კავკასიაში, ისე თურქესტანში უნაყოფოა და დადგინა: ასეთი მუშაობა შესწყვიტოს.

7 ნოემბრის კრება დილის 10 საათზე დაიწყო. კრებამ პირველად განიხილა საკითხი: მიეცეს თუ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულით შემწეობა იმ მეურნეს, რომლის ვენახსაც ფილოქსერით დაავადების გამო მევენახეობის კომიტეტის დადგენილებით გადასწვავენ. კრებამ ერთხმად დაადგინა: დააჯილდოვოს მხოლოდ ის მეურნენი, რომელნიც დამნაშავენი არ არიან ფილოქსერით ვაზის დავადებაში. ამასთანავე სამართლიანად აღიარა, რომ ამ დაჯილდოვების ხარჯი მარტო ხაზინას არ დაეკისროს და ადგილობრივ თანხითაც დაჰფარონ. შემდეგ კრებამ განიხილა მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების რწმუნებულთათვის ინსტრუქციის შედგენის საკითხი. კრებამ დაადგინა: თვითეულმა კომიტეტმა თვით შეადგინოს ინსტრუქცია თვის რწმუნებულთათვის. ხანგრძლივ კამათი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, რომ სამელიორაციო თანხა მოიხმარონ მევენახეობისა და მეღვინეობის საქმის წინ წასაწევად. კრებამ საჭიროდ აღიარა: 1) ამ თანხას მონაწილეობა მიაღებინონ მევენახეობის საქმეში, 2) სამელიორაციო თანხა გადადებული იქმნას, 3) ერობის შემოღებამდე სამელიორაციო თანხიდან სესხის მისაღებად შუამდგომლობათა აღძვრა წვრილ კრედიტის ამხანაგობებს დაევალოთ და 4) სამელიორაციო თანხიდან გრძელვადიანი სესხი მიეცეთ პირველ ხუთს წელიწადს უსარგებლოდ.

საღამოს კრება 7 საათზე დაიწყო. კრებამ დიდის ხმის უმრავლესობით დაადგინა: აღიკრძალოს საქციოზო გადასახადის გადაუხდელად სპირტის ხმარება ღვინის გასაკეთებლად. ამავე კრებამ არა სასურველ მოვლენად აღიარა ღვინის დაშაქვრა მთელის რუსეთისათვის.

ამით კრებები დასრულდა. დამსწრეებმა ერთხმად დაადგინეს: სამადლობელი დეპეშა გაუგზავნონ მიწათმოქმედებისა და მიწადმოწყობის სამმართველოს მთავარ გამგეს, რომელმაც ამ კრების მოწვევის ნება დართო და მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც კრების მოწვევის აზრს თანაგრძნობით მიეგება.

დასასრულ დამსწრეთ ერთხმად მადლობა გადაუხადეს კრების თავჯდომარეს ვ. ნ. მარტინოვსა და მდივნებსა.

მუშათა ცხოვრება

გაფიცვის დასრულება.

პეტერბურგის გაზის ქარხანაში მუშათა გაფიცვა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ძველი მუშებისაგან 110 კაცი მიიღეს. ახლად მიღებულ მუშათა რიცხვი უდრის 165-ს. ქარხნის ადმინისტრაციას იმედი აქვს ახლო მომავალში მუშების შტატი შეავსოს. გაფიცვამ 7 დღეს გასტანა. საპირართო მუშაობა ქალაქს 2.000 მანეთად დაუჯდა. დათხოვნილია 200 მუშა. ძველმა მუშებმა ისევ ძველ პირობებში დაიწყეს მუშაობა.

გაფიცვები.

პეტერბურგის სამხედრო საეკონომიო საზოგადოების მკერვალმა მუშებმა სახელოსნოების ადმინისტრაციას უკმაყოფილება გამოუცხადეს ამხანაგ მუშის დათხოვნის გამო. მუშებმა თვეში 5 მანეთის მომატება მოითხოვეს. ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. მუშები გაიფიცნენ.

პეტერბურგში პეტროვის სტამბის მუშები გაიფიცნენ.., მათ მოითხოვეს სახელოსნო ოთახის ხეირიანი მოწყობა.

უბედურება „ადმირალტეისტვოს“ ქარხანაში.

1 ნოემბერს პეტერბურგში საშინელი უბედურება დატრიალდა „ადმირალტეისტვოს“ გემების საშენებელ ქარხანაში. მუშებს გემში ქვაბები და სხვა და სხვა მანქანები შეჰქონდათ, უეცრად ჯაჭვი გასწყდა და მუშები მანქანითურთ რამდენიმე საჟენის სიმაღლიდან ძირს დაქანდნენ, მრავალი მუშა მძიმედ დაშავდა. დაშავებულნი საავადმყოფოში გაგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

ამ უბედურების მიზეზთა გამოსარკვევად გამოძიება სწარმოებს.

უცხოეთი

საარჩევნო რეფორმა საფრანგეთში.

გუშინწინდელი გაზეთის დეპეშაში უკვე აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ საარჩევნო რეფორმის ახალი კანონი მიიღო. ამნაირად საფრანგეთში შემოღებული იქნება პროპორციონალური არჩევნები. სენატსა და დეპუტატთა პალატის შორის უთანხმოება ძლიერ გამწვავებული იყო. ამ უთანხმოების მიზეზი, სხვათა შორის, სამხედრო ბეგრას ვადის გადიდებაც იყო. დეპუტატმა ა. ლეფევრმა პროპორციონალური არჩევნების ფორმულა წარადგინა. ამ ფორმულით პირველი არჩევნები პროპორციით მოხდება, ხოლო დამატებითი არჩევნების დროს დეპუტატებს ხმის უმრავლესობით აირჩევენ. უმცირესობისადმი უფლების მინიჭების მოწინააღმდეგეებს ძლიერ არ მოეწონათ ეს ფორმულა და დიდს აგიტაციას ეწეოდნენ მის წინააღმდეგ. ახალის კანონით ორი მესამედი არჩეული იქნება პროპორციონალურის სისტემით, რაც შესამჩნევად აძლიერებს უმცირესობის უფლებას.

ქიამილ-ფაშა.

ახლად გარდაცვალებული ქიამილ-ფაშა ოსმალეთის ხელმწიფოს ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი იყო. იგი დაიბადა 1832 წელს. აბდულ-ჰამიდის მეფობის დროს ქიამილ-ფაშა სხვა და სხვა თანამდებობას ასრულებდა: ეგვიპტეში იყო ოსმალეთის წარმომადგენლად, სმირნაში გენერალ-გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ დიდ ვეზირად იყო. როდესაც ოსმალეთის რევოლუცია იწყებოდა, აბდულ-ჰამიდმა ქიამილ-ფაშა გააძევა, რადგანაც მისი ლიბერალური მსოფლმხედველობა შიშსა ჰგვრიდა. 1908 წლის აჯანყების შემდეგ ქიამილ-ფაშას კვლავ ვხედავთ დიდ ვეზირის თანამდებობაზე. ქიამილ-ფაშის დანიშვნა ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე არეულობის დროს არიგებდა მოპირდაპირეებს—სულთანს და ახალგაზრდა ოსმალთაც. ქიამილ-ფაშამ დიდის ამბით გამოაქვეყნა, რომ მისი კაბინეთი ოსმალეთში ფართო რეფორმებს განახორციელებს, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა; სამაგიეროდ ქიამილ-ფაშა ფარულს, მაგრამ ცხარე წინააღმდეგობას უწევდა ახალგაზრდა ოსმალთა მოქმედებას. როდესაც აბდულ-ჰამიდი დაამხეს, ქიამილ-ფაშაც იძულებული იყო დიდი ვეზირობის თანამდებობა მიეტოვებინა. 1912 წლამდე ქიამილ-ფაშას არც ერთი თანამდებობა არ ეჭირა. 1912 წელს კი იგი შევიდა მინისტრთა კაბინეთში სამხედრო მინისტრად. აქედან იწყება შეურიგებელი და მასთან ფიცხელი ბრძოლა ახალგაზრდა ოსმალებთან. ბრძოლა ქიამილის გამარჯვებით დაგვირგვინდა და იგი კვლავ ჩადგა მინისტრთა კაბინეთის სათავეში. ენვერ-ბეის ამბოხებამ სამუდამო წერტილი დაუსვა ქიამილ-ფაშის მოღვაწეობას. იგი სამუდამოდ გამოვიდა საპოლიტიკო მოღვაწეობის ასპარეზიდან. გარდაიცვალა 83 წლის.

რუსეთი

ხარკოვის ექიმთა საზოგადოება.

ხარკოვის ექიმთა საზოგადოების დახურვამ რუსეთის პრესაში და მოწინავე საზოგადოებაში სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. უკანასკნელ სხდომაზე ბეილისის საქმის გამო საზოგადოებამ რეზოლიუცია მიიღო. ხარკოვის ვიცე-გუბერნატორმა ეს ამბავი საზოგადოების დახურვის საბაბად გამოიყენა. ვითომც რეზოლიუცია მთავრობის საწინააღმდეგო ყოფილიყვეს.

3 ნოემბერს სათათბიროს წევრებმა ამ საქმის გამო კერძო თათბირი მოახდინეს. თათბირს დაესწრნენ საზოგადოების რწმუნებულნი: ბრაუნშტეინი და ფავროვი; რწმუნებულთა დეპუტატებს საზოგადოების დახურვის საქმის ვითარება გააცნეს. გარდა ამისა ისიც განუცხადეს, რომ რწმუნებულნი შუამდგომლობენ საგუბერნიო საქმეთა სამართველოს განკარგულების განსაჩივრებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სათათბიროს წევრებმა დაადგინეს: ამ საქმის გამო შეკითხვის შეტანა დროებით გადასდონ, ვიდრე რწმუნებულთა შუამდგომლობის შედეგები არ გამოირკვევა.

სათათბიროს დეპუტატები, განურჩევლად მიმართულებისა, აღშფოთებულნი არიან ამ ფრიად სიმპატიური საზოგადოების დახურვით.

ნაფიც-მსაჯულთა სიის შედგენის ახალი კანონ-პროექტი.

სასამართლო რეფორმათა კომისიამ 31 ოქტომბრის სხდომა იუსტიციის მინისტრის ახალ კანონ-პროექტის განხილვას მოანდომა. მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა დაჰგმო ნაფიც-მსაჯულთა სიის შედგენის არსებული წესი და თავის მხრით ახალი კანონპროექტი წარადგინა სათათბიროში. ეხლანდელი წესით ნაფიც-მსაჯულთა ასარჩევ კომისიაში თავმჯდომარედ ნიშნავენ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. შჩეგლოვიტოვის კანონ-პროექტით ეს მოვალეობა უნდა დაეკისროს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებს. თავმჯდომარეს უფლება აქვს კომისიაში მიიწვიოს პოლიციის ორი წარმომადგენელი და ბრალმდებელის ამხანაგი; კომისიაში მონაწილეობის მიღება შეეძლება საერობო სამაზრო თვითმართველობის სამს წარმომადგენელს და ქალაქის ორ წარმომადგენელს.

სამინისტროს კანონ-პროექტს დეპუტატებმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთეს. დეპუტატების აზრით, სასამართლოს თავმჯდომარეს არ შეუძლიან ერთ და იმავე დროს თავისი მოვალეობაც შეასრულოს და ნაფიც მსაჯულთა სიაც შეადგინოს. ამისთვის მას მაზრაში სიარული დასჭირდება.

სათათბიროს კომისიამ თითქმის ერთხმად უარჰყო მინისტრის შესწორება. ნაფიც მსაჯულთა ასარჩევ კომისიის თავმჯდომარეობა დეპუტატთა დადგენილების მიხედვით კვლავ მაზრის წინამძღოლს ევალება.

კომისიაში შევლენ: ერობის სამი წარმომადგენელი, ქალაქის ორი წარმომადგენელი, სამი ან ორი საპატიო მოსამართლე, მაზრის თვითმართველობის თავმჯდომარე, ქალაქის მოურავი, ხარკის ამკრეფი ინსპექტორი და პოლიციის წარმომადგენელნი.

ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია ოპოზიციის წინადადებამ, რომ კომისიაში მონაწილეობის მიღების ნება მიეცეს ნაფიც ვექილების ერთს წარმომადგენელსა. ამ წარმომადგენელს ნაფიც ვექილთა საბჭო დანიშნავს.

ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს ოქტომბრისტებმა და მემარჯვენეებმა. მიუხედავად ამისა კომისიის უმრავლესობამ ოპოზიციის წინადადება მიიღო.

მთავრობის მხრივ კანონ-პროექტს იუსტიციის სამინისტროს უფროსი იურისკონსულტი ტრეგუბოვს იცავდა. როგორც კულუარებში ლაპარაკობენ, შჩეგლოვიტოვი კომისიის დადგენილებით უკმაყოფილოა; მინისტრს უთქვამს: მიზანს ვერ მივაღწიეთ, ამიტომ კანონ-პროექტი მას უკანვე მიაქვს.

მოწერილი ამბები

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება ახალციხეში.

(წერილი ახალციხიდან).

ტფილისის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ამ დღეებში ოფიციალურად აცნობა ადგილობრივ განყოფილებას ამავე განყოფილების დამტკიცება. ძლივას ვეღირსენით ოთხი წლის წინად დაწყებული საქმის განხორციელებას. ვინ არ იცის, რომ ეს დაწესებულება სიმპატიურია. როგორც საქმის სათავეში მდგომთა, ისე განყოფილების ყველა წევრთ დიდი ენერგიისა, საერთო ძალისა და ერთგული საქმიანობის გამოჩენა მართებთ, მეტადრე ახალციხისთანა მიყრუებულსა და მიგდებულს კუთხეში, სადაც ძლიერ საჭიროა ბნელი და უვიცი ხალხის სწავლა-განათლება და განვითარება, მეტადრე ქართველ მაჰმადიანთა შორის, რომელთაც ჟამთა ვითარებისა გამო დაუკარგავთ საკუთარი, მამა-პაპური დედა-ენა და გადაგვარების გზას დასდგომიან; სწორედ ამ გადაგვარებულების მოშინაურებაა საჭირო, რომ ოდესმე დაკარგული დედა-ენის აღდგენით მოვიზიდოთ იგინი და შევიერთოთ, როგორც ერთი სისხლ-ხორცის მქონე, ჩვენი ძოძმე ქართველები.

ამ საქმის მოგვარებას კი დიდი სამსახური უნდა გაუწიოს სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ, პირველ დაწყებითი სკოლების გახსნით, ბიბლიოთეკების დაარსებით და ლექციების კითხვით.

საჭიროა გამგეობის წევრებმა კარგად გაიცნონ აქაური სოფლის მაჰმადიანები და იმათი ფსიხოლოგია. უპირველესად ყოვლისა, გამგეობის წევრები სოფლის პირველ კაცებს უნდა იცნობდნენ, რომელსაც წარმოადგენენ აღები და ბეგები. ამათ უნდა აუხსნან სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ჯერ ისინი უნდა დაითანხმონ და შემდეგ თვითონ ისინივე შეუწყობენ ხელს სკოლის დაარსება-არსებობასა. ამნაირად გაადვილდება მაჰმადიანთა შორის სკოლების გახსნის საქმე.

სამწუხაროდ ჩვენი ახალი განყოფილების წევრები, როგორც გარედან მოსულნი, სრულიად ვერ იცნობენ ადგილობრივ მაჰმადიანებს, გარდა ერთის წევრისას, რომელიც ოცი წელიწადი ცხოვრობს ჩვენში, ეჭვს გარეშეა, ეს გარემოება ხელს შეუშლის მათ მუშაობას. როგორც შარშანაც ვსწერდი „სახალხო გაზეთში“, ფრიად საჭიროა, დღევანდელ გამგეობას, რომელიც სამის წევრისაგან შესდგება, მიემატოს კიდევ ორიოდე სხვა წევრებიც, რასაკვირველია, ადგილობრივი მცხოვრებთა მცოდნე-გამოცდილი პირთაგან, და მაშინ უფრო სასურველად წავა საქმე. იმედია, ჩვენი, წ.-კ. ს. ადგილობრივი განყოფილების ახალი გამგეობა ეხლავე მოიწვევს საზოგადო კრებას გამგეობის წევრების რიცხვის გასადიდებლად.

ნუ დაავიწყდება გამგეობას, რომ მას ხსენებულ საქმის გარდა სხვაც ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი. ქართველმა საზოგადოებამ იმიტომ მოისურვა ადგილობრივი განყოფილების დაარსება, რომ ამ განყოფილებამ თავს უნდა იდოს ადგილობრივი დრამატიული დასის შედგენა წარმოდგენების გასამართავად, სახალხო ლექციების მოწყობა, როგორც სოფლებში, ისე რაბათში სკოლების დახსნა ბიბლიოთეკებით, რაბათის დედათა ქართული სკოლის წინ გაძღოლა და სხვა.

ვუსურვებ ამ ფრიად სიმპატიურს ნორჩს დაწესებულებას ნაყოფიერ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენს ბნელით მოცულ კუთხეში.

მესხი კ. გვარამაძე.

რთველი კახეთში.

მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში გათავდა რთველი: რთველი ყველგან საგანგებო იყო, როგორც მოსავლიანობით, ისე გამოსავლით და ამინდის ხელის შეწყობით, ასეთი შემოდგომა კარგა ხანია აღარ გვინახავს. სწორედ ლხინი იყო: დაიწყო ყურძნის კრეფა, ახმაურდა სოფელი, აჭრიალდა ყურძნით დატვირთული ურმები, გაისმა მეურმის იმედიანი ურმული, გზის აქცევა, მწურავთა შემოძახილი და ქვევრებში ტკბილის ჩხრიალი; ქალების ყურძნის მორჩევა, ტკბილის მოდუღება, ჩურჩხელების გაკეთება, ყველა ეს მართლა და ლხინად აქცევს რთველს.

თვით ღვინის მოსავალზე, ზაფხულის განმავლობაში ვერავინ მოელოდებოდა ასეთ გულუხვობას; თელავის მაზრაში მეტად ჩინებული მოსავალი მოვიდა საერთოდ (ქვემო მხარეს—კარდანახის და ველისციხის რაიონებში ვერ ემადლიერებიან); ყურძნის მოსავალმა ხომ მოლოდინს გადააჭარბა; ვისაც ერთი ქვევრი ჰქონდა მომზადებული, მეორეც დასჭირდა. გასაჭირი გახდა ჭურჭლის შოვნა, მაგრამ ამის და მიუხედავად უჭურჭლობის გამო მაინც ბევრი წვალობს. ზოგმა ნახევარ ვენახს თავი დაანება, ვიდრე დაწურული დაიდუღებდა, წყლის ჭურჭლებშიაც კი ტკბილი იდგათ. ერთი სიტყვით წლევანდელი მოსავლით ყველა ხარობს...

მაგრამ საქმე ის არის, რომ მოსავალს ხომ განაღდება უნდა და სწორედ ამიტომ ეს ლხინი მალე ჭირად შეიცვლება. ასე იყო 1907 წლის გულ-უხვ მოსავლიანობის დროსაც, როცა ბევრმა ღვინო არაფად აქცია. ზოგმა ვენახიც კი გასჭრა, ისევ პურს დავთეს, კუჭს მაინც გავიძღობო. მას აქეთ ღვინის ბაზრის პირობები არ შეცვლილა, ისევ ის უგზოობა ისევ ქესატობა, ისევ კვლავინდებული უსირაჯობა; ბიურებზე (ღვინის მყიდავ-გამყიდველნი) დანაზრება კი ხეირს არ დააყრის კახეთს. ყველა ამის შემდეგ ღვინის ფასი, რასაკვირველია, დაბალი იქნება და არის კიდეც; საპალნე (32 ჩაფი) ფასობს 30—60 მანეთად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლეულს ძლიერ კარგი თვისების ღვინო დადგა. **დავიწყებული.**

კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე?

პასუხად ბ. კორდელს

(შემდეგი *)

გადავიდეთ ეხლა მეორე განყოფილებაზე—ოჯახზე. უეჭველია, აქ უნდა იყოს თუ არის, ბ-ნ კორდელის მიერ დასახელებული ჩვენი ბავშვებისათვის გაუგებარი, უცხო შინაარსიანი მასალა. ამ განყოფილებაში მოთავსებული სულ 18 მოთხრობა და ლექსი. საჭიროდა ვრაცხთ ესენიც სათითაოდ აღვნიშნოთ და გავარჩიოთ, რათა სავსებით დარწმუნდეს მკითხველი ბ-ნ კორდელის მიერ წამოყენებულ ბრალდების უსაფუძვლობაში.

1. სიყმაწვილეში—ლექსი ნიკიტინისა. აღწერილია მოგონებანი სიყმაწვილიდან; არაფერი რუსული ხასიათი ამ ლექსს არ ატყვია, გარდა ავტორის გვარისა. ამ ლექსს რომ სათაურში ჰქონდეს წარწერა: „ქართულიდან ნათარგმნიო“, დარწმუნებული ვართ, ვერავინ ვერ მიხვდებოდა, რომ ეს ლექსი მართლა ნათარგმნი არ არის ქართულიდან. მიუხედავად ამისა, ამ ლექსს ჩვენგან დართული აქვს კითხვები: რას გაგონებთ ეს ლექსი თქვენი ცხოვრებიდან? მოიგონეთ, რა და რა ზღაპრებს გიამბობდათ ხოლმე დიდედა, დედა, გადია? დედა აზრია ამ ლექსისა: **ტკბილია სიყმაწვილე.**

2. ღამე სოფლად, მისივე. ამ ლექსში მხოლოდ ორი სიტყვა—„ლავკა“ და „პალატი“ თუ გვაგონებს, რომ ლექსში რუსის ცხოვრებაა აღწერილი. შესცვალეთ ეს სიტყვები თუნდაც ტახტებით, და თქვენვე გეგონებათ, რომ ჩვენი გაძვალტყავებული გლეხის ოჯახია აღწერილი. ამ ლექსის დედა-აზრი: გლეხის მიერ მოთმინებით ატანა ცხოვრების გასაჭირისა მისაბაძია ყველასათვის.

3. სკოლიდან—ლექ. პლეშჩეევისა. ამ ლექსზე, ვგონებთ, თვით კორდელიც ვერ იტყვის, რომ საკუთრივ რუსის ოჯახი იყოს აღწერილი (შევნიშნავთ, რომ ეს ლექსი ქართულადაც არის ნათარგმნი). მაგრამ ბოლოში ჩვენ მიერ მაინც კითხვა აქვს; თქვენ როგორ გიხვდებიან სკოლიდან დაბრუნებისას? დედა აზრი ამ ლექსისა ყოვლად მარტივია: ბეჯითი სწავლით ბავშვები მშობელთ დარდსა და ვარამს უქარვებენ.

4. ქარიშხლიან ღამეს. ლექ. მისივე. ამ ლექსში თუ მარტო „იზბა“ ეხამუშა ბ. კორდელს, მაგრამ ერთ სიტყვას განა რაიმე იოტის ოდენა მნიშვნელობა აქვს ლექსში? ან კი ჩვენში არ არის ნაძვი? დედა აზრი ამ ლექსისა: უზომო დედის ზრუნვა ყრმისადმი.

5. დილა ობლომოვისა - მოთ. გონჩაროვისა,—იძლევა ნიმუშს ბავშვის დამახინჯებულ აღზრდისას.

6. დედა და შვილი. ამ ლექსშიაც ხომ არაფერია „უცხო“, თუნდ ერთი ხაზიც და გვიხატავს მოსიყვარულე ქალის ზრუნვას უსინათლო დედისადმი.

7. ზამთრის საღამო, ლექ. პლეშჩეევისა.

8. დედის ნაღველი—ლექ. სურიკოვისა. ეს ორი ლექსი აგვიწერენ ქალაქურ ოჯახს, პირველი შეძლებულს, ხოლო მეორე — გალატაკებულს. ამ ლექსებში აწერილ სურათებს თქვენ შეხვდებით ტფილისში, ბათუმში და ბაქოში ისევე, როგორც მოსკოვში, გინდ ვორონეჟში. პირველი ლექსი რომ მოკლებული არა ყოფილიყოს „რუსულ სულს“, გოგებაშვილი არ შეიტანდა თავის „რუსკოე სლოვოში“. მართლაც რა „ს ფრთხის“ უნდა წამოადგენდეს ლექსი, რომლის დედა-აზრია: მშობლიურ ჭერ ქვეშ სუსხიან ზამთარშიდაც კარგად გრძნობს თავს ბავშვი. ესევე უნდა ითქვას მეორე ლექსის დედა-აზრზედაც: დედა სიკვდილის წამსაც შვილზედა ფიქრობს. შემდეგი ხუთი მოთხრობა არის აქსაკოვისა:

9. დედის სიყვარული, 10—მარწყვის საკრეფად, 11—სოკოს საკრეფად, 12—პირველი თევზაობა და 13—პირველი ნადირობა. ამ ხუთ მოთხრობაში მხოლოდ პირველს ეტყობა, რომ ჩვენი ცხოვრებიდან არ არის აღებული. მაგრამ დედის უზომო ტანჯვა და თავ-განწირული მგზავრობა ავადმყოფ შვილის მისაშველებლად არამც თუ გაუგრილებს გულს, არამედ აღავსებს მეტის პატივისცემით საკუთარ დედისადმი ჩვენ ბავშვებს. ესეც არ იყოს, განა „საწამლავად ჩაეწვეთება ჩვენს ბავშვს“ უცხო, ამ შემთხვევაში, რუსის ცხოვრების გაცნობა? ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ არც ერთი უცხო ენაზედ დაწერილი წიგნი არ უნდა მივცეთ ჩვენ ბავშვს.

მეორე მოთხრობას—მარწყვის საკრეფად, დართული აქვს კითხვა: გვიამბეთ, თქვენ როგორ-და დადიოდით მარწყვის, მაყვლის და სხვ. საკრეფად?

თევზაობის აღწერა უცხო არ არის ბავშვებისათვის, მით უმეტეს, რომ ვავალებთ გვიამბონ საკუთარი ან ნახული თევზაობა. დაბოლოს—პირველი ნადირობაც ბევრთათვის არ არის უცხო, ამიტომ ვაძლევთ კითხვას: გვიამბეთ, თქვენ როგორ იჭერდით ფრინველებს?

14. მეთევზე დაბრუნება—ლექ. პლეშჩეევისა. სურათი, რომელიც დართული აქვს ამ ლექსს, გვიხატავს რუსის ოჯახს (დათვალეთ, ბ. კორდელო, რამდენი გამო[illegible]). ჩაუკვირდით ოდნავ ლექსის შინაარსს. ამ ლექსში ორი უმთავრესი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: მოლოდინი და ამ მოლოდინით გამოწვეული ტანჯვა და დაღვრემილება; და შემდეგ ასრულება და სიმხიარულე. ორივე მომენტი ადვილად ხვდება ბავშვის გულს, ვინაიდან ყველა ბავშვს თავის თავზედ განუცდია ეს არა ერთხელ, და სწორედ ეს ორი მომენტი, ამ ლექსში დახატული, იქცევს ბავშვების ყურადღებას და ებეჭდებათ გულში მათაც სწორედ ეს მომენტები.

15. მელია, მოთხრ. ტიმპსონისა;

16. სურკა, მოთხრ. აქსაკოვისა. ორთავე მოთხრობა ცხოველებს შეეხება. პირველიდგან ბავშვები ეცნობიან, რომ მშობლიური გრძნობა სიყვარულისა შვილისადმი ცხოველებში არა ნაკლებ არის, ვიდრე ადამიანებში. მეორე კი ჩვეულებრივი ეპიზოდია ბავშვის ცხოვრებიდგან და გვიხატავს მოსიყვარულე და შემბრალე ბავშვებს.

17. ირმის ნუკრი—მოთხრ. მამინ-სიბირიაკისა. ამ მოთხრობაში რუსული არის მხოლოდ სახელები: ემელია და გრიშუტკა. თვით მოთხრობაში ბავშვის მთელს არსებას იმედინად იპყრობს განუსაზღვრელი სიყვარული ფურ-ირმისა შვილისადმი, რის გამოც მზადაა თავი გასწიროს, ოღონდ კი შვილი გადაარჩინოს საფრთხეს, რომ სრულიად შეუმჩნეველი რჩება ეს უცხო სახელები.

18 ...უკანასკნელი მოთხრობა—„მწყერი“ — ტურგენევისა. მოკლე შინაარსი ამ მოთხრობისა: მამას ხშირად დაჰყავს ხოლმე სანადიროთ ვაჟი. ბავშვი გატაცებულია ნადირობით და განუსაზღვრელ სიხარულს ეძლევა, როდესაც განგმირული ფრინველი მიწაზე ვარდება. ვაჟი ნატრობს, როდის გახდება 12 წლისა, რადგან მამა დაჰპირდა, თოფს მაშინ გიყიდიო. მაგრამ ერთი შემთხვევა სრულიად უცვლის ყმაწვილს აზროვნებას: ხელში უკვდება მეძებრის მიერ დაჭერილი მწყერი, რომელსაც იქვე ბუდე ჰქონოდა პატარა ბარტყებით. ყმაწვილს სიბრალულის ცრემლები გადმოსცვივდა და მწყერი იქვე ბუდესთან შორიახლო მიწას მიაბარა და ზევიდან კიდევ ხის ჯვარი გაუკეთა. მას შემდეგ მას სრულიად დაეკარგა სურვილი ნადირობისა. ეს შემთხვევა აქვს ტურგენევს აწერილი მხატვრულად, ისე, როგორც მხოლოდ იმას შეეძლო. ნუ თუ „ვერავითარ საღ სულიერ განცდას“ ვერ მოიპოვებენ ჩვენი მოწაფეები ამ მოთხრობის შესწავლის დროს? არა, ბ-ნო კორდელო, ნუ გეწყინებათ, მაგრამ უნდა გატეხით გითხრათ, რომ სჩანს თქვენ პედაგოგი არა ბრძანდებით და არც გისწავლებიათ ბავშვებისთვის, თორემ შენიშნავდით ბავშვების თვალებზე ცრემლებს ამ მოთხრობის კითხვის დროს.

ჩვენ ჩამოვთვალეთ პირველ ორ განყოფილებაში მოთავსებული 29 მოთხრობა-ლექსი, აღვნიშნეთ მათი მოკლე შინაარსი და დედა-აზრიც, და გვიბრძანეთ ეხლა, ბ. კორდელო, რომ მოისურვოს ვინმემ ამოშალოს „ინოროდეც ბავშვის გულიდან ყველაფერი წმინდა, კარგი და სამაგიეროდ ჩაუნერგოს მას უცხო თესლი, მისი გადასაგვარებელი საწამლავი“,—როგორც თქვენ ბრძანებთ თქვენ რეცენზიაში, რომელი ზემოდ დასახელებულ 29 მოთხრობა-ლექსთაგანი ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს? არა ბატონო, ვერ დაასახელებთ, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერც ერთ მოთხრობას, ვერც ერთ სტრიქონს, ვერც ზემოდ დასახელებულებში, ვერც წიგნის დანარჩენ მასალაში მთელ 460 გვ. სივრცეზედ, რომელსაც აქვე დაწვრილებით მოვიყვანდით, რომ მკითხველი არ გვებრალებოდეს. მაგრამ ხომ უფრო ადვილი იქნება თქვენ დაგვისახელოთ, ვიდრე ჩვენ სათითაოდ გავარჩევდეთ დანარჩენ 125 ნომერს. ზეპირად თქმა: საწამლავს აწვეთებსო და სხ., რიგი არ არის, უნდა მიუთითოთ, აი, მაგალ., ესა და ეს მოთხრობაო. მაგრამ არა, ვერც ერთს ნიმუშს ვერ დაასახელებთ, ვინაიდგან ისე არ შეგვირჩევია მასალა, როგორც თქვენ გგონიათ და როგორც არწმუნებთ მკითხველებს: ვოსტორგოვების სასიამოვნოდ როდი ვცდილვართ. რა ვქნათ, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება. ჩვენ ვცდილობდით, რაც შეიძლება საღი, ფაქიზი მასალა მიგვეწოდებინა ბავშვისთვის, ეს ცხადად სჩანს ყოველი მიუდგომელი ადამიანისათვის. რა ვუყოთ, რა ვქნათ, რომ მხოლოდ

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 1038.

თქვენ განზრახ, თუ უნებლიედ არ გინდათ დაინახოთ, რაც ნამდვილად არის. ნათქვამია, ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კი კაკალიც არაო. მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენ არ მოვათავსეთ ისეთი ლექსები, როგორიც არის, მაგალითად, „შკოლნიკი“ ან „მანიფესტი“, ან კიდევ ფრაზა: „შჩი და კაშა-პიშჩა ნაშა“, თორემ თქვენ ჩვენთვის სალრჩობელასაც არ დაიშურებდით.

იაკ. ზედგინიძე და გ. ჯაფარიძე.

(შემდეგი იქნება)

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს საგანგებოდ გამართულმა წარმოდგენამ დიდძალს საზოგადოებას მოუყარა თავი ქართულს თეატრში. ითამაშეს ახლად ჰაუპტმანის ორმოქმედებიანი პიესა: „ჰანნელე“. საერთოდ თამაშს არა უშავდა, მორთულობაც რიგიანად იყო მოწყობილი; ნაზი სევდიანი შთაბეჭდილება მოახდინა ტანჯული ავადმყოფი ჰანნელეს სულიერმა განცდამ სიკვდილის წინ. ეს განცდა რელიგიურ-მისტიურს ხასიათს იღებს და მით კიდევ უფრო ღრმად წვდება მაყურებლის გულს უბედური ადამიანის კვეთება. ნათლად გაეთვალისწინებია ეს ქ. ჩხეიძეს, რომელიც ასრულებდა ჰანნელეს როლს. ტიპიურნი იყვნენ ღატაკები ღარიბთა თავშესაფარში.

„ჰანნელეს“ შემდეგ წარმოადგინეს „ინსტინქტი“ და „უნიადაგოების“ პირველი მოქმედება. ამ პიესებს ახალი არა ეტყობოდა რა.

ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა: „ნაგავი“. ხვალ, კვირას ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ახალი 4 მოქმედებიანი პიესა „ნაგავი“, რომელიც პირუთვნელის სიმკაცრით ასურათხატებს ქართველი ინტელიგენციის გადაგვარებას და მოწინავე წოდების გათახსირებას. პიესა იშვიათის რეალიზმით არის დაწერილი, განსაკუთრებით მეოთხე მოქმედება.

პიესაში მთელი დასი ღებულობს მონაწილეობას. რეჟისორობს ბ-ნი ვლ. მესხიშვილი, რომელიც იმავე დროს მთავარ როლს ასრულებს.

აკაკის ახალი პიესა, ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა **აკაკიმ** დასწერა და უკვე წარუდგენია ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას ახალი პიესა—3 მოქმედებიანი დრამა: „სიყვარული“. პიესა წლევანდელ სეზონის განმავლობაში იქნება დადგმული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

8 ნოემბერი.

უცხოეთი.

ლონდონი. პარლამენტის ტრედ-უნიონისტთა ფრაქცია არ იზიარებს აზრს, მოახდინონ დუბლინის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად გაფიცვა მათის აზრით საჭიროა სხვა ღონისძიება იყოს მიღებული გაფიცულთა დასახმარებლად.

ლონდონი. ფოსტის მთავარმა უფროსმა ფოსტის მოხელეთა დელეგაცია ინახულა. უფროსმა დეპუტაციას განუცხადა, რომ მათი მოთხოვნილება ჯამაგირის მომატების შესახებ 15 პროც. შესაწყნარებელი არ არისო.

ტოკიო. მინისტრთა საბჭო შეუდგა 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. პრემიერ-მინისტრს შეაქვს გემთა საამშენებლო ფართო პროგრამა; პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იქნება 350 მილიონ იენის გადადება.

ტაკამაცუს ქვანახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა, რომელმაც 15 მუშა იმსხვერპლა.

ლონდონი. მუშათა პარტიის ბელადმა ფონელიმ დუბლინის გაფიცულ მუშათ განუცხადა: ყველა, ვინც კი მუშათა კავშირს შეუერთდება მზად უნდა იყვეს, სამოქალაქო ლაშქარში წასასვლელად, როდესაც უკანასკნელი დაარსდება. სამხედრო საქმისთვის მუშებს გაწვრთნის განსვენებულ ფელდმარშლის შვილი კაპიტანი უაიტი.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციის სამხედრო კომისიაში სამხედრო მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა: მან აღნიშნა, რომ ბალკანეთის კრიზისის დროს საომარი სამზადისი ჩინებულად იქმნა შესრულებული, თუმცა ეს მონარქიას ძვირად დაუჯდა. მინისტრი მხურვალე მადლობას უცხადებს მონარქიის ორივე ნაწილის მთავრობას და მცხოვრებთ. ევროპის სახელმწიფონი, აგრედვე ბალკანეთის ერნი საომარ ძალას აძლიერებენ. ეს უკარნახებს ავსტრია-ჰუნგრეთს მომზადებულად დაუხვდეს ამ სამზადის და თავისი ინტერესები დაიცვას; ამისთვის კი საჭიროა სამხედრო საქმეთა მოსაწყობად (?) გადიდებულ იქმნას.

მუკდენი. სათათბირო კომიტეტის სხდომის დროს პოლიციამ დააპატიმრა 56 ნაციონალისტი.

ლონდონი. ლარკინის პირველ გამოსვლის თანავე ალტბერჰოლში უწესოება მოხდა; მრავალ რიცხოვანმა სტუდენტობამ მოიწადინა მუშათა მიტინგი ჩაეშალა, რომელიც მოწვეული იყო საერთო გაფიცვის საქადაგებლად. ამ მიზნით სტუდენტობა შეიჭრა ალტბერჰოლში, საცა 10.000 მუშა იყო შეკრებილი. მუშებმა სტუდენტები გამოსდევნეს. ხელჩართულ ბრძოლის დროს ბევრი დაშავდა. შეტაკება მოუხდათ პოლიციასთანაც. მიტინგი ბოლომდე იქმნა მოყვანილი და მშვიდობიანად დაიშალა. ლარკინის მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა: საერთო გაფიცვის რეზოლიუციას კენჭი ვერ უყარეს.

ვენა ბერტჰოლდის სიტყვის გამო გაზეთები აღნიშნავენ ავსტრია-ჰუნგრეთის დიპლომატიის გამარჯვებას ალბანეთის ავტონომიის შექმნაში

რუსეთი.

პეტერბურგი. საზოგადო მოღვაწეთა კლუბში დაიწყო 17 ოქტომბრის კავშირის სხდომები. გუჩკოვის ავადმყოფობის გამო მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ოქტომბრისტთა ფრაქციის თავმჯდომარემ ანტონოვმა, კრებაზე 200 კაცზე მეტი მონაწილეობს.

რიგა. „პროვოდნიკი“-ს ქარხანაში გაიფიცა 3.000 მუშა. გაფიცულთ ეკონომიური მოთხოვნილება წარადგინეს. გაფიცულნი დაითხოვეს.

პეტერბურგი, მინისტრთა საბჭომ სათათბიროში წარსადგენად მოიწონა კატორღის შეცვლის კანონპროექტი სახალინში კატორღის გაუქმების შემდეგ აღიძრა საჭიროება კატორღაში სასჯელის მოხდის სისტემა შეიცვალოს.

მინისტრთა საბჭომ ნება დართო ფას გადაუხდელად შემოიტანონ უცხოეთიდან მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზათა საჭიროებისათვის.

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმეთა კომიტეტმა დაიჭირა „დენის“ მე-302 ნომერი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც ყოველნაირად ხელი შეუწყვეს ქ. ქუთაისში პირველ სიმფონიურ კონცერტის გამართვის იდეის განხორციელებაში; სახელდობრ: ქ-ნ წ. ვესელოვზოროვისას, შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს და სხვა საზოგადო დაწესებულებათ, ქუთაისის მომღერალთა საზოგადოებას—გუნდის სრულიად უსასყიდლოდ დათმობისათვის, გუნდში მონაწილეთ, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგეთ, ქუთაისის მემუსიკეთ, რომელთაც მოისურვეს ორკესტრის დახმარება; გარდა ამისა დიდ მადლობასა ვსწირავ „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს, ორკესტრის დათმობისათვის და მემუსიკეთ, რომელნიც სრულიად უსასყიდლოდ წამოვიდნენ ქუთაისში. **კ. ფოცხვერაშვილი**

ტფილისი. 5 ნოემბერი.

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ. კავკავის სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ პატრონს გრიგოლი ბურდულს, რომელმაც კეთილ ინება და სტეფანწმინდის (ყაზბეგის) ორ კლასიან სასწავლებელს 50 მან. შემოსწირა სკოლის საჭიროებისათვის.

სტეფანწმინდის ორ კლასიანი სკოლის გამგე მღვდელი ბართლომე ღუდუშაური.

1913 წ. 5 ნოემბერი ს. სტეფანწმინდა.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი**

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. 15 № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-ვორონეჟი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

სანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაცობანთართვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. ლ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

11—12 **გ. ა. [illegible]** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და დახმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოთ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სადაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **პ. ლ. კიკალიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27)

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 936).

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. ჯაბაშვილისა.

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე**
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერეებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგტაბაანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ა. დ. ზურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ბეგტაბაანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 **დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.**

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასი“ (ნომრები იყო, გაიღო
საოჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

აბანოები თავ. ორბელიანისა:
„ციხის აბანო“
სრულიად შეაკეთეს და მოაწყვეს; ვანები, საჯდომები და კედლები მოზაიკით მორთეს. ქალების საერთო დიდი აბანო გაიხსნება პარასკევს, ნოემბრიდან. 791

სტუდენტი ფილოლოგი
გამოცდილი რეპეტიტორი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.
პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პრიუტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

ნამდვილი მწერავი მანქანა
25 მან. ნაცვლად, მხოლოდ 4 მან. 95 კ.-ად.



უკანასკნელი ახალი ამბავი
სასწაული XX საუკუნის

ტეხნიკის განვითარების წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთ საწერ მანქანის გამოგონება, რომელსაც უბრალო ანბანის მცოდნეც კი პირველის ცდისთანავე გამოიყენებს. **სიტყვები გამოდის სრულიად ნათლად და უშეცდომოდ.** ვინც კი მიიღებს მანქანას „TAURU“ უეჭველია მუდმივი მადლიერი იქნება ჩემი. „TAURU“ ყველასათვის საჭიროა და გამოსადეგი. „TAURU“-თ დაიბეჭდება ბლანკები და სხვა. გთხოვთ ამ მანქანას სერიოზულად მოეკიდნენ, როგორც ნამდვილ, ცხოვრებაში გამოსაყენებელ და სასარგებლო ნივთს. თუ მანქანა არ მოგეწონებათ, **ფულს უკანვე გაახლებთ.** შეკვეთის დროს, გთხოვთ, გვაუწყოთ, თუ რომელ ენაზე გსურთ მანქანით წერვა. ფასი მხოლოდ 4 მან. 95 კ., გასაგზავნი 40 კ. (ციმბირში—75 კ.). ვგზავნით ფასდადებით.
И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная № 13. отд. 14.
მეტალ. 11147. 1064

იმშა

იმშა

ჩვენ, ყველანი აღტაცებულნი ვართ **„იმშა მეტამორფოზას“** კრემის საპონისა და ფერ-უმარილის საუცხოვო ღირსებით. იგი საუკეთესო საშუალებაა ჭორფლისა და ფერის-მჭამელის მოსასპობად და სახის სითეთრის მოსაგვარად. იყიდება სააფთიაქო საქონელთა კავკ. საამხ. მაღაზიაში, ძმებთან ტერ-ტეროვებთან, ვ. გ. ზურაბოვთან, „სოლოტატში“ და სხვა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებში და აფთიაქებში. წარმომადგენელი **მ. ა. რაშკოვსკი,** ოდესა, საფოსტო ყუთი № 1248. 792

აგენტმა
ივანე გრიგოლის ძემ
ხალათიანმა
ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:
ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ. 3 მ.
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა — 1 მ.
„ ბროსესი, 1-ლი, 70 კ.
„ „ „ ii— 70 კ.
ჯანაშვილი მოს. აღვადგინე, ანუ „სამი ისტორიული ქრონიკა და წმ. ნინოს ცხოვრების“ გახაგებ შესასწორ სახელმძღვანელო — — — 30 კ.
— ნაშრომი 1-ლი — — — 20 „
— „ მე-2-ე — — — 20 „
— „ მე-3-ე — — — 20 „
— საქართველოს ისტორია — 1 მ.
— მეფე ერეკლე — — — 10 „
— უკვდავთა დღედღებანი — — 10 „
— ფარსადან გორგიჯანიძის ძე და მისი შრომანი — — — 40 „
— ქართული მწერლობა — — 80 „
ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — — 80 „
— საქართ. ეკონომიური ისტორია 40 „
— საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — — 15 „
ახლად მიღებული წიგნები:
ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასა — — — 2 მან.
გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — — 30 კ.
თაყაიშვილი ექვ. Археологическія экскурсіи, вып. 4 — — 75 კ.
ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილისა 30 კ.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.

ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1 მშვენიერ მკვიდრ ჯიშის საათს კაცთათვის—„ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას. იმართება თავის ჭახრაკით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვს, ახალი ფასონისა. 3. ბრილოკი კინემატოგრაფი, კომპასით ან საუცხოვო სანახაობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ? ეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“ პარიზული თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი ახრომატიულ შუშით ჩუქურთმიანი ჩონჩხით, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს ახლოვებს. 7. ტყავისაგან საათის დასაცავი. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვადასხვა სანახაობისა. 9. სამისო ექვსი მეტისმეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება ღირს 5 მ. 50 კ., 4 წყება 10 მ. 50 კ. ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და საუკეთესო თვისებისა 3 მ. 95კ., ორი წყება 7 მ. და 40 კ., ესევე წყება ქალის საათით 3 მ. 70 კ. ასეთივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს** გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ., ციმბირში გასაგზავნი 75 კ. საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.
მისამართი: ამხ—ბა „აკურატნოსტ“, ვარშავა, განყ. 95.
Адресъ: Т—во „Аккуратность“, Варшава, отд. 95.
Мотцгъ. 31296. 1226

მიიღეთ ცივადი-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი)
სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოფის
ხიზილალა
კოლოფით & ხმელი სოკო. 1500

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
გრამო-ფონებს
„იაკორ“-ს
ჰყიდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა
შეიძლება.
გოლოვინის პროსპექ., № 6, საკრებულოსქვეშ.
1531

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.